23.09.2013 W №260

ქალაქ თბილისის მერია
TBILISI CITY HALL

№ 11/13245533-17
"19" 09 2013

„საქართველოს რეფორმების ასოციაცია (GRASS)"-ს
დირექტორს ბატონ სერგი კაპანაძეს
მის: ქ. თბილისი, რაზმაძის ქ. №15

ბატონო სერგი,

თქვენი, 2013 წლის 30 აგვისტოს №433 განცხადების პასუხად გაცნობებთ, რომ 2007 წელს, „სტუდენტური პროგრამის" ფარგლებში, რომელიც ითვალისწინებდა სტუდენტთათვის ერთთვიანი ანაზღაურებადი სამუშაო ადგილების შექმნას ზაფხულისა და შემოდგომის არდადეგების პერიოდში, შეირჩა 4 000 მონაწილე და 500 რეზერვისტი, რომლებიც გადანაწილებული იქნენ რაიონულ გამგეობებში. აღნიშნული პროგრამა, ქ. თბილისის 2007 წლის ბიუჯეტიდან, დაფინანსებული იქნა 1 716 200 ლარით.

ასევე გაცნობებთ, რომ დედაქალაქის მერია, 2010-2013 წლებში, ახორციელებს პროგრამას „მოქალაქეთა გადამზადების კურსები", რომელიც გულისხმობს ქ. თბილისში რეგისტრირებულ 18 და მეტი წლის მოქალაქეების, ასევე დევნილების, უნარშეზრუდული პირების, უსინათლოების, სპორტსმენებისა და კომპანიების პერსონალისათვის ინგლისური ენისა და კომპიუტერული პროგრამების სწავლებას. აღნიშნული პროგრამის ფაგლებში დედაქალაქის ბიუჯეტიდან გაწეულმა ხარჯმა, 2010 წლიდან დღემდე, შეადგინა სულ 5 095 789 ლარი. ხოლო, ინგლისური ენისა და კომპიუტერული პროგრამების შესწავლის მსურველთა რაოდენობამ – 84 922 ადამიანი.

პატივისცემით,

საჯარო ინფორმაციის გაცემის
უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირი

ოთარ ტატალაშვილი

ქ. თბილისი 0160, შარტავას ქუჩა №7, ტელ.: (+995 32) 23 78 591
7, Shartava st., 0160 Tbilisi, Georgia, Tel.: (+995 32) 23 78 591